შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

N 19
30/07/2020

19-08-4-202007301309

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე–16 მ უ ხლი ს მ ე –3 პ უ ნ ქ ტ ი ს საფუძველზე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პრაქტიკის გავლის წესი დანართი №1–ის მიხედვით.

2. დამტკიცდეს პრაქტიკანტის მოწმობის ფორმა დანართი №2–ის მიხედვით.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

4 . განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე

გიორგი დავითაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა

საქართველო

შუახევის მუნიციპლიტეტის საკრებულო

პრაქტიკანტის მოწმობა

სტრუქტურული ერთეული/ქვესტრუქტურა ––

--- ---––––––––---

პრაქტიკანტის სახელი, გვარი: ------------------––------------- -- ძალაშია: –––– ––––––– 20--- წ.-დან –––– ––––––– 20 წ.---მდე

მოწმობის გაცემის თარიღი: ----- ----------- 20-- წ.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

--------------------------------- --

ხელმოწერა სახელი, გვარი

ბ. ა

დანართი N1

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პრაქტიკის გავლის წესი

მუხლი 1. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პრაქტიკის გავლის წესის რეგულირების სფერო.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პრაქტიკის გავლის წესი (შემდგომში წესი) განსაზღვრავს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სტრუქტურულ ერთეულებში პრაქტიკის გავლის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები.

წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დაწესებულება – შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ბ) თავმჯდომარე – შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გ) პრაქტიკა – დაწესებულებაში ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგულირებადი, მოკლევადიანი არააუნაზღაურებადი საქმიანობა პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავების მიზნით;

დ) პრაქტიკანტი - პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად გადის პრაქტიკას;

ე) კანდიდატი - პირი, რომელსაც ამ წესის შესაბამისად დაწესებულებაში შეტანილი აქვს განაცხადი პრაქტიკის გავლის შესახებ; ვ

) სტრუქტურული ერთეული - შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეული (სამსახური);

ზ) უფლებამოსილი პირი – დაწესებულების პოლიტიკური თანამდებობის პირი ან საჯარო მოხელე, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დელეგირებული აქვს ამ წესით გათვალისწინებული უფლებები

მუხლი 3. პრაქტიკის არსი და მიზანი.

პრაქტიკა არის დროებით უსასყიდლო საქმიანობა, რომლის მიზანია კვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის ხელშეწყობა, ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობებს შექმნა.

მუხლი 4. პრაქტიკაზე მიღების წესი

პრაქტიკაზე მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და:

ა) სწავლობს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და არის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი;

ბ) სწავლობს სამაგისტრო ან დოქტორის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებული.

დ) კვალიფიციური არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის (რომელიც თვითმმართველობის მიმართულებით საქმიანობს) მომართვის სოფუძველზე აყვანილი პირი.

მუხლი 5. პრაქტიკაზე მიღება.

1. წესის მე-4 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირი პრაქტიკაზე მიიღება როგორც ამ წესით განსაზღვრული კონკურსის, ასევე კონკურსის შესაბამისი უმაღლესი დაწესებულების მომართვის საფუძველზე კონკურსის გავლის გარეშე.

2. წესის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი პრაქტიკაზე მიიღება მხოლოდ კონკურსის საფუძველზე.

3. წესის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის პრაქტიკაზე მიიღება შეიძლება მოხდეს კონკურსის გარეშე.

კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს თავმჯდომარე ან უფლებამოსილი პირი.

4. კონკურსის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/ქვესტრუქტურა.

5. კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა; ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება.

6. თავმჯდომარე ან უფლებამოსილ პირს შეუძლია, კანდიდატის შეფასებისათვის, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ კონკურსის ეტაპებთან ერთად განსაზღვროს დამატებითი ეტაპი, რაც უნდა აისახოს კონკურსის ოფიციალურად გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში.

7. კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევის ეტაპი ტარდება დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის მიერ.

8. განაცხადების გადარჩევის შედეგების შესაბამისად, შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრებას ატარებს საკრებულოს თავმჯდომარე ან უფლებამოსილი პირი დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის წარმომადგენლის თანდასწრებით.

9. კონკურსის დასრულებისას დგება საერთო ოქმი, რომელსაც ხელს აწერს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის შესაბამისი წარმომადგენელი და საკრებულოს თავმჯდომარე ან საამისოდ უფლებამოსილი პირი.

10. კანდიდატების შერჩევა წარმოებს შესაბამისი ინფორმაციის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის შემდეგ.

11. კანდიდატების შერჩევას აწარმოებს საკრებულოს თავმჯდომარე ან უფლებამოსილი პირი. შერჩევას შეიძლება ესწრებოდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების

წარმომადგენლები, აგრეთვე სხვა ფიზიკური პირები საკრებულოს თავმჯდომარის ან უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით.

12. გადაწყვეტილებას კანდიდატის პრაქტიკანტად დანიშვნის შესახებ, ღებულობს საკრებულოს თავმჯდომარე ან უფლებამოსილი პირი.

მუხლი 6. პრაქტიკის გასავლელად კანდიდატთა შერჩევისათვის ინფორმაციის გამოცხადება.

1. პრაქტიკის გასავლელად კანდიდატთა შერჩევისათვის ინფორმაციას აცხადებს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/ქვესტრუქტურა. ინფორმაციის გამოცხადება ხდება შუახევის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე: shuakhevi.ge. პრაქტიკის გასავლელად სტუდენტების უკეთ ინფორმირებისთვის შესაძლებელია ინფორმაციის გამოცხადება განხორციელდეს აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შესაბამისი მიმართვის (წერილის) დაგზავნის გზით.

2. პრაქტიკანტთა შერჩევის შესახებ განცხადება (ინფორმაცია) უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) დაწესებულება და სტრუქტურული ერთეული სადაც ხდება კანდიდატთა პრაქტიკაზე მიღება;

ბ) თემატიკა, რომლის ფარგლებშიც მოხდება კანდიდატთა შერჩევა;

გ) მისაღები პრაქტიკანტების რაოდენობა, პრაქტიკის ვადისა და სპეციალობების მითითებით;

ე) კანდიდატების მიერ შესაბამისი განაცხადის წარდგენის დრო, ადგილი, აგრეთვე შერჩევის დრო და ადგილი;

ვ) კანდიდატების მიერ განაცხადთან ერთად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა;

ზ) ინფორმაციას პრაქტიკის არსისა და მიზნის თაობაზე.

მუხლი 7. პრაქტიკის გასავლელად წარსადგენი საბუთები.

1. კანდიდატმა პრაქტიკის გავლის სურვილის შემთხვევაში საკრებულოს უნდა წარუდგინოს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შედგენილი წერილობითი განაცხადი.

2. კანდიდატი განაცხადთან ერთად წარადგენს შემდეგ საბუთებს:

ა) CV;

ბ) დიპლომის ასლი/ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ერთი ფოტოსურათი (3X4).

3. კანდიდატის განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელი, გვარი;

ბ) დაბადების თარიღი;

გ) ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის მისამართი;

დ) ტელეფონის ნომერი;

ე) ელ. ფოსტა.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მომართვით პრაქტიკის გავლის შემთხვევაში კანდიდატი თავისუფლდება ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენისაგან. მომართვა უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

მუხლი 8. პრაქტიკის ვადა, დასრულება

1. პრაქტიკის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 3 თვისა.

2. პრაქტიკანტს დანიშვნის შემდეგ ეძლევა პრაქტიკანტის მოწმობა, დანართი №2-ის შესაბამისად.

3. პრაქტიკის ვადის გავლის შემდეგ პრაქტიკანტს ეძლევა ცნობა შესაბამის დაწესებულებაში პრაქტიკის გავლის თაობაზე.

მუხლი 9. პრაქტიკანტის _•@_•B_•@უფლებები.

1. დაწესებულების ან/და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობით პრაქტიკანტს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს სამსახურეობრივ დოკუმენტაციას (საარქივო მასალებს), ისარგებლონ სათანადო ინფორმაციით (ბიბლიოთეკით, ელექტრონული საშუალებებით და სხვა), თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების ან/და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

გ) გაეცნოს დაწესებულების შესაბამისი სტუქტურული ერთეულის მუშაობის სპეციფიკას, იმ საკითხების მომზადებასა და სათანადო დოკუმენტების შედგენას, რომელიც მოცემულ სფეროს მიეკუთვნება, გამოიყენოს მათი კვალიფიციური ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება დაკისრებული დავალებების შესრულებისას.

2. პრაქტიკანტი დაწესებულების ან/და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მითითებითა და მეთვალყურეობით ასრულეს კონკრეტულ დავალებებს, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს ამ დაწესებულების ან/და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის საკითხებს.

მუხლი 10. პრაქტიკანტის ვალდებულებები.

პრაქტიკანტი ვალდებულია:

ა) გაეცნოს შესაბამისი დაწესებულების შინაგანაწესს და დაიცვას მისი მოთხოვნები;

ბ) გაეცნოს და იხელმძღვანელოს დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით;

გ) დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ყველა ის დავალება, რომელიც მას დაეკისრა იმ დაწესებულების ან/და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ, სადაც ის გადის პრაქტიკას;

დ) დაიცვას და არ გაამჟღავნოს პრაქტიკის გავლის დროს მათთვის ცნობილი სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული და პირადი ინფორმაცია. ეს ვალდებულება პრაქტიკანტს გააჩნია პრაქტიკის ვადის გასვლის ან სხვა საფუძველზე პრაქტიკის შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 11. დაწესებულებისა და სტრუქტურული ერთეულის ვალდებულებები.

1. დაწესებულება, მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეული პრაქტიკანტს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

2. დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია პრაქტიკანტს მისცეს მიმართულება და განუსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული ვადა, მიაწოდოს აღნიშნულთან დაკავშირებით დროული და სწრაფი ინფორმაცია.

მუხლი 12. პრაქტიკის შეწყვეტა.

1. პრაქტიკის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) პრაქტიკის ვადის გასვლა;

გ) პრაქტიკის გავლის პერიოდში არასაპატიო მიზეზით 5 სამუშაო დღის განმავლობაში შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გამოუცხადებლობა;

დ) დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას პრაქტიკის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს თავმჯდომარე ან უფლებამოსილი პირი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით.

მუხლი 13. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ